დიოგენე

დაწყებითი
სკოლა

ნათია ბალხამიშვილი, სალომე ჩხეიძე, ნინო გვილავა, მადონა მუმლაძე

ნაბიჯი წინ
II–III კლასი

პროექტის ხელმძღვანელი: მაგდა ბარამიძე

რედაქტორი: ლალი ბაქრაძე

კონსულტანტი: ლელა ქვაჭრელიშვილი

ყდის დიზაინერი და ილუსტრატორი: ანა ოსიაშვილი

დამკაბადონებელი: ნინო გურული

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-932-3

www. diogene. ge

ნათია ბალხამიშვილი, სალომე ჩხეიძე,
ნინო გვილავა, მადონა მუმლაძე

# ნაბიჯი წინ

## ქართული–მათემატიკა–ბუნება

## II–III კლასი

# წინასიტყვაობა

სავარჯიშო კრებული „ნაბიჯი წინ“ საგანმანათლებლო გამოცემაა, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის ცოდნის განმტკიცებასა და მომდევნო სასწავლო წლისთვის მომზადებას, ასევე, იმ სასწავლო დანაკარგების შევსებას, რომლებიც მოსწავლემ წინა სასწავლო წელს განიცადა.

კრებული შეიცავს სხვადასხვა საგნის (ქართულის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების) სავარჯიშოებს, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს, გაამყაროს გასულ სასწავლო წელს შეძენილი ცოდნა და უნარები და მოემზადოს ახალი გამოწვევებისთვის.

**კრებულის ძირითადი მახასიათებლები:**

- **შინაარსობრივი მრავალფეროვნება**: კრებულში წარმოდგენილია სავარჯიშოები ქართულ ენაში, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში, ანუ ის უზრუნველყოფს მოსწავლის კომპლექსურ მომზადებას.
- **შესაბამისობა**: სავარჯიშოები მორგებულია შესაბამისი კლასის მოსწავლეების საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებას.
- **ინტერაქტიულობა**: კრებულში გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის დავალებები, რომლებიც მოსწავლეს ინტერესს აღუძრავს და უზრუნველყოფს მის ჩართულობას პროცესში;
- **პროგრესის მონიტორინგის შესაძლებლობა**: კრებულში გათვალისწინებულია თვითშეფასებისა და თვითკონტროლის ინსტრუმენტები, რომლებიც ეხმარება მასწავლებლებსა და მშობლებს, თვალყური ადევნონ სწავლის პროცესს.

კრებული გაწერილია რვა კვირაზე, ბოლოს კი მოცემულია შემაჯამებელი დავალებები, ანუ სულ კრებულზე სამუშაოდ საჭიროა რვა-ცხრა კვირა, რაც სავსებით აკმაყოფილებს რემედიაციის პროგრამის მოთხოვნებს.

რაც მთავარია, ყოველი კვირის მასალის დამუშავების შემდეგ მოსწავლემ დამოუკიდებლად უნდა შეავსოს შესაბამისი თვითშეფასების ცხრილი, რომელიც წიგნს ბოლოში ერთვის. ამ გზით იგი გამოხატავს თავის განწყობილებას დავალებების შესრულებისას და იძენს თვითკრიტიკის გამოცდილებას, ხოლო მასწავლებელსა და მშობელს საშუალება ეძლევათ, უკეთ დაინახონ მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესი.

მოცემული კრებული სასარგებლო რესურსია სასწავლო პროცესის უწყვეტობის შესანარჩუნებლად და მოსწავლის აქტიურობის უზრუნველსაყოფად.

ძვირფასო მასწავლებლებო და მშობლებო! თუ თქვენს მოსწავლეს/შვილს აღენიშნება წინა წლიდან გადმოყოლილი, ამა თუ იმ მიზეზით გამოწვეული სასწავლო დანაკარგები, მაშინ ეს კრებული იდეალური ინსტრუმენტია თქვენ ხელში.

გისურვებთ წარმატებას!

# ქართული

**არსებითი სახელი**

**1. გამოტოვებულ ადგილას ჩასვი შესაბამისი ასოები.**

ნინი___ საშინაო დავალება შეასრულა.

მაკა___ დედამ ლამაზი ქურთუკი უყიდა.

თამარ___ სახლი ტყესთან ახლოს იდგა.

თორნიკეს წარმატებ___ ყველა ამაყობდა.

ეს ხის სახლი ბაბუა___ აშენებულია.

ბებია___ გემრიელი ჩურჩხელები ამოავლო.

**2. მოცემული სიტყვები გადაიყვანე მრავლობით რიცხვში:**

კალამი –
მეგობარი –
დღე –
ძაღლი –
პეპელა –
მინდორი –

**3. გამოტოვებულ ადგილას ჩასვი შესაბამისი ნაცვალსახელები: შენ, ისინი, თქვენ, ის, ჩვენ, შენ, ისინი**

_______ დაწერ, ნიკოლოზი კი წაიკითხავს.

_______ მთელი დღე წიგნს კითხულობდა.

_______ ერთი გუნდი ვართ!

მე და _______ ხვალ თეატრში მივდივართ.

_______ გუშინ ჩამოვიდნენ გერმანიიდან.

კონცერტზე _______ იმღერებენ და _______ ლექსს წაიკითხავთ.

# მათემატიკა

**1. ჩამოწერე ნივთების სია მათი ღირებულების ზრდის მიხედვით:**

საშლელი – 10 თეთრი, კალმისტარი – 30 თეთრი, ბლოკნოტი – 40 თეთრი, სათლელი – 20 თეთრი, ფანქრების ნაკრები – 50 თეთრი.

1.
2.
3.
4.
5.

**2. ჩაწერე შემდეგი რიცხვები ციფრებით:**

5 ათეული ______        1 ოცეული და 1 ათეული ______

6 ათეული ______        2 ოცეული ______

2 ათეული ______        2 ოცეული და 1 ათეული ______

**3. გაანაწილე რიცხვები ორ ჯგუფად: რიცხვები, რომელთა ჩანაწერში არის 0 და რიცხვები, რომელთა ჩანაწერში ათეულების აღმნიშვნელი ციფრი არის 1.**

11, 20, 30, 17, 40, 18, 19, 60

______

______

**4. დააკავშირე ჩანაწერები ნიმუშის მიხედვით:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 20+5 | 40-1 | 10+5 | 35-1 |
| 37-1 → | 30+4 | → 35+1 | 38+1 |

**5. შეადარე:**

| | | |
|---|---|---|
| 40-10 * 50-10 | 40+10 * 40-10 | 40+10 * 40+20 |
| 50+20 * 50-20 | 30+30 * 30-20 | 30+10 * 30-10 |

6. ნიას 30 თეთრი აქვს. მან რამდენიმე თეთრი დახარჯა და 20 თეთრი დარჩა. რამდენი თეთრი დახარჯა ნიამ?

______

7. გამოიანგარიშე:

| | | | |
|---|---|---|---|
| 50+10 | 30+30 | 60-10 | 40-10 |
| 50+20 | 30+40 | 60-30 | 40-40 |
| 50+30 | 30+50 | 60-20 | 40-30 |
| 50+40 | 30+60 | 60-40 | 40-20 |

8. დაწერე რიცხვები რომლებიც მდებარეობს:

38-სა და 41-ს შორის ________ 28-სა და 39-ს შორის ________

71-სა და 74-ს შორის ________ 88-სა და 90-ს შორის ________

9. რამდენი თვეა წელიწადში? რამდენი დღეა კვირაში?

________________ ________________

რამდენი კვირაა თვეში? რომელ თვეშია ყველაზე ნაკლები დღე?

________________ ________________

10. ნანას და გიორგის სურთ ორი ერთნაირი კალმის შეძენა. ნანას აქვს 50-თეთრიანი, 20-თეთრიანი და 10-თეთრიანი მონეტები, გიორგის კი – სამი 20-თეთრიანი მონეტა. რამდენი თეთრის დამატება დასჭირდება გიორგის, რომ ორივეს ერთნაირი თანხა გაუხდეს? რომელი მონეტებით შეიძლება გიორგიმ შეადგინოს დასამატებლად საჭირო თანხა?

________________________________________________

11. შეავსე მწკრივი შესაბამისი რიცხვებით ისე, რომ შედეგად ბოლოში დაწერილი რიცხვი მიიღო:

10, … , 30, …, 50, …, 70

**12.** **გამოიანგარიშე:**

90-20+30 50+20-30 90-50+30
90-70+50 60+30-50 90-80+70
40+50-30 30+50-40 80-40+20

**13.** **შეარჩიე რიცხვები, რომელთა ჯამია 60:**

30 20 0 60
10 50 40

**14.** **მიღებული შედეგების მიხედვით დაადგინე ცხოველების სახელები:**

20+20= 50+10= 70-40=
90-80= 40+50= 80-20=
60+20= 60-30= 80-60=
30-20= 30+30= 40=20=

10=ა 30=ე 60=ი 70=ჩ
80=ტ 40=კ 20=რ 90=ხ

# ბუნება

**სხეულები და მოვლენები**

**1. ბუნებაში წყალი გვხვდება შემდეგი სახით:**

______________________, ______________________ ______________________

______________________.

**2. წყლის წვეთი შეაერთე მის თვისებებთან.**

წითელი

უფორმო



გამჭვირვალე

მწარე

**3. უყურე ვიდეოებს „დაზოგე წყალი“ და „როგორ გავუფრთხილდე წყალს?“ გამოიტანე დასკვნა და დაწერე.**

______________________________________________________________

______________________________________________________________

______________________________________________________________

______________________________________________________________

______________________________________________________________

______________________________________________________________

______________________________________________________________

______________________________________________________________

______________________________________________________________

4. ვენის დიაგრამის მიხედვით შეადარე ერთმანეთს ტბა და წყალსაცავი.




5. ნიადაგი ხმელეთის ზედაპირის ნაყოფიერი ფენაა. ჩამოთვლილთაგან რას შეიცავს ნიადაგი?

წყალი

პლასტმასი

ჰაერი

საღებავი

ნეშომპალა





არ დაგავიწყდეს თვითშეფასების ცხრილის შევსება